ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

№ 161 (19608) ◆ ᲙᲕᲘᲠᲐ, 13 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ, 1986 ᲬᲔᲚᲘ. ◆ ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐ�პ.

13 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ ᲛᲔᲒᲑᲐᲓᲣᲠᲘᲡ ᲓᲦᲔᲐ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ თერთმეტ ივლისს გამართულ სხდომაზე განიხილა 1986 წლის პირველ ნახევარში ქვეყნის ეკონომიკის განვითარების შედეგები.

სხდომაზე აღინიშნა, რომ სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის დროს სახალხო მეურნეობის განვითარებაში დადებითი ძვრები ხდება. გადაჭარბებით შესრულდა სამრეწველო წარმოების გეგმა, გაუმჯობესდა შრომის ნაყოფიერების, მოგების ზრდისა და თვითღირებულების შემცირების დავალებათა შესრულება. შესამჩნევად გაიზარდა მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება და შესყიდვა, უფრო ზუსტად სრულდება ყველა სახეობის ტრანსპორტით ტვირთზიდვის დავალებანი. დაჩქარდა კაპიტალური მშენებლობის, წარმოების რეკონსტრუქციისა და ტექნიკური განახლების ტემპი. ყოველივე ეს იმის შედეგია, რომ გაიზარდა შრომითი კოლექტივების, ქალაქისა და სოფლის ყველა მშრომელის ინიციატივა და შრომითი აქტიურობა, რომ ისინი ისწრაფვიან პრაქტიკული საქმეებით შეიტანონ წვლილი ქვეყნის განვითარების დაჩქარებაში.

ამავე დროს, დადებითად შეაფასა რა ეკონომიკაში პოზიტიური ტენდენციების გაძლიერება, პოლიტბიურომ აღნიშნა, რომ დაუშვებელია ყოველგვარი ოპტიმიზმიდება და გულგრძელობა, რადგან დაჩქარება ჯერ კიდევ ყველა უბანზე როდია მიღწეული. მთელმა რიგმა სამინისტროებმა მაის-ივნისში დაუშვეს წარმოების ტემპის შენელება. არ შესრულდა სიმძლავრეების, ბინების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების ამოქმედების დავალებები, ხელშეკრულებებითა და განწესის მიხედვით პროდუქციის მიწოდების გეგმები. ბევრ საწარმოში არ არის უზრუნველყოფილი რიტმული მუშაობა, ჯერ კიდევ არ არის სათანადო გარდატეხა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაში.

შესაბამის პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს წინადადება მიეცათ განახორციელონ ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის საჭირო ღონისძიებანი, უზრუნველყონ 1986 წლის გეგმის უთუოდ შესრულება. განსაკუთრებული ყურადღება მიეპყრო საქონლის წარმოების შემდგომ გადიდებასა და მოსახლეობის მომსახურების განვითარებას, ვაჭრობის ორგანიზაციისა და ყოველდღიური მოთხოვნის საქონლით მშრომელთა მომარაგების გაუმჯობესებას.

მიღებული სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება, რომლითაც მოწონებულია ადგილებიდან მოსული წინადადებანი ქვეყნის სამრეწველო მეურნეობის სტაბილურობის გადიდებისა და პურ-ფურაჟის რესურსების გაზრდის შესახებ. გათვალისწინებულია მეთორმეტე ხუთწლედში განხორციელდეს დიდი ორგანიზაციული, ეკონომიკური და სხვა ღონისძიებანი, რომელთა მიზანია მეცნიერულად დასაბუთებული მიწათმოქმედების სისტემების თანამიმდევრული დანერგვის გზით მარცვლეულის წარმოების შემდგომი განვითარება. უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ გაფართოვდეს მარცვლეული კულტურების თესვა-მოყვანა ინტენსიური ტექნოლოგიებით, რომლებიც მიმდინარე ხუთწლედში გამოყენებული იქნება 50 მილიონ ჰექტარზე მეტ ფართობზე. გათვალისწინებულია ძირითადი რესურსები თავმოყრილი იქნეს იმ სასოფლო-სამეურნეო საწარმოებსა და რაიონებში, რომლებსაც შეუძლიათ უზრუნველყონ დახარჯული სახსრების უმეტესი უკუგება, არსებითად გაუჯანსაღონ სამარცვლე მეურნეობაში უკვე შექმნილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენება კოლექტიური იჯარისა და საფერმერო ანგარიშის შემდგომი განვითარების, ტექნოლოგიური დისციპლინის მკაცრად დაცვისა და დანაკარგების შემცირების საფუძველზე.

დასახულია ახალი ღონისძიებანი, რომელთა მიზანია სასურსათო და საფურაჟე რესურსების უფრო რაციონალური გამოყენება, საფქვავი, პურსაცხობი და კომბინირებული საკვების მრეწველობის მუშაობის გაუმჯობესება.

მიზანშეწონილად არის მიჩნეული ყოველმხრივ და კრიტიკულად განიხილონ სამარცვლე მეურნეობის განვითარების მდგომარეობა თითოეული საწარმოო ერთეულისა, კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის, რეგიონის მიხედვით და შეიმუშაონ მისი მდგრადობის, მნიშვნელოვანი გადიდების, მარცვლეულის წარმოების ზრდის პროგრამა, და ამით შექმნან ყველაზე საიმედო ბაზა პარტიის XXVII ყრილობის მიერ დასახული ამოცანის წარმატებით შესრულებისათვის, — მოკლე ვადაში უზრუნველყონ ქვეყანა სურსათით.

პოლიტბიუროს სხდომაზე განიხილეს საკითხი იმის შესახებ, რომ დროულად აიღონ მიმდინარე წლის მოსავალი რუსეთის სფსრ რესპუბლიკისა და უაზახეთის სს რესპუბლიკის აღმოსავლეთი რაიონების მეურნეობებში. ამასთან ყურადღების ცენტრში იყო ისეთი საკითხები, როგორიც არის ნთოსესების საგულდაგულო მოვლა, უმოკლეს ვადაში ტრაქტორების, კომბაინების, ავტომობილებისა და სხვა ტექნიკის, მარცვალგასაწმენდი და საშრობ მოწყობილობის მომზადება, მოსავლის ასაღები აგრეგატებისა და სატრანსპორტო საშუალების კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტება.

ამ ამოცანების გადაწყვეტა აქვთ მიზნად დასახული კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა საწარმოებს, რომლებიც მოწოდებული არიან შემჭიდროებულ ვადებში და მაღალ დონეზე აიღონ მოსავალი, მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულონ სახელმწიფოსათვის მარცვლეულის მიყიდვის გეგმები.

პოლიტბიურომ მოისმინა ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის ინფორმაცია პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის X ყრილობის მუშაობის შესახებ. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის მონაწილეობის, ვ. იარუზელსკისთან და პოლონეთის სხვა ხელმძღვანელებთან საუბრების შესახებ. კმაყოფილებით აღინიშნა, რომ ყრილობის მონაწილეთა, ვარშავის მოსახლეობის მიერ საბჭოთა პარტიული დელეგაციის გულითადი მიღება ასახავს ორი მოძმე პარტიის, საბჭოთა და პოლონელი ხალხების ძმური ურთიერთობის ხასიათს. გამოითქვა რწმენა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის ვიზიტი ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის მჭიდრო ურთიერთმოქმედების გაფართოებასა და გაღრმავებას, სსრ კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ხალხთა მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცებას.

განიხილა რა ამხანაგ ჰ. ა. ალიევის ცნობა იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის XIII ყრილობის მონაწილე საბჭოთა პარტიული დელეგაციის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ, პოლიტბიურომ ხაზი გაუსვა მისწრაფებას, კიდევ უფრო განავითაროს ჩვენი პარტიებისა და ქვეყნების მეგობრული ურთიერთობა, გააძლიროს საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის ყოველმხრივი თანამშრომლობა.

პოლიტბიურომ მოიწონა საბჭოთა ხელმძღვანელობისა და საფრანგეთის პრეზიდენტის ფ. მიტერანის მოლაპარაკებისა და საუბრების შედეგები. აღინიშნა, რომ ევროპისა და მსოფლიო განვითარების ახლანდელ გარდამტეხ მომენტში საბჭოთა კავშირსაფრანგეთის უმაღლესი დონის პოლიტიკური დიალოგი კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს, როგორც საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღების, სახელმწიფოთა შორის ნდობის განმტკიცების, სრულიად ევროპის პროცესის გააქტიურებისა და საერთაშორისო უშიშროების სისტემის შექმნის ფაქტორი.

საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ურთიერთობის მთელი კომპლექსის შესახებ მოსკოვში გამართული მოლაპარაკება საშუალებას იძლევა გავზარდოთ ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის ეფექტიანობა სავაჭრო-ეკონომიკურ, სამეცნიერო-ტექნიკურ და კულტურულ დარგებში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ განიხილა XXVII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის ივნისის პლენუმის იმ გადაწყვეტილებათა პრაქტიკული რეალიზაციის მთელი რიგი სხვა საკითხები, რომლებიც ითვალისწინებენ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებასა და ხალხთა შორის მშვიდობისა და თანამშრომლობის უზრუნველყოფისათვის გამიზნული პარტიის საგარეო-პოლიტიკური სტრატეგიის განხორციელებას.

ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ ᲒᲐᲔᲛᲒᲖᲐᲕᲠᲐ

ᲕᲘᲢᲔᲢᲜᲐᲛᲔᲚᲘ ხალხის გამოჩენილი შვილის, საერთაშორისო კომუნისტების, მუშათა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწის, საბჭოთა კავშირის დიდი მეგობრის, ვიეტნამის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლე ზუანის გარდაცვალებასთან დაკავშირებით სამგლოვიარო ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად 12 ივლისს მოსკოვიდან ჰანოის გაემგზავრა სსრ კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ი. რიჟკოვის მეთაურობით.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. თ. დობრინინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ბ. ნ. ჩაპლინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის მოადგილე მ. ნ. სმირნოვსკი.

აეროდრომზე დელეგაცია გააცილეს ამხანაგებმა ჰ. ა. ალიევმა, ლ. ნ. ზაიკოვმა, ა. ნ. იაკოვლევმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა.

გამცილებელთა შორის იყო ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში დინნო ლიემი. (ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ).

ᲛᲘᲜᲓᲕᲠᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲚᲐᲜᲢᲐᲪᲘᲔᲑᲖᲔ

ᲛᲪᲔᲜᲐᲠᲔᲔᲑᲘ ᲬᲧᲐᲚᲡ ᲘᲗᲮᲝᲕᲔᲜ

ᲡᲘᲝᲜᲘᲡ დამდეგიდან კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების თითქმის 250 ათასი ჰექტარი სავარგულები მოირწყა. მაგრამ ტენი, განსაკუთრებით რესპუბლიკის აღმოსავლეთ რაიონებში, ყველა სავარგულმა ვერ მიიღო. არადა მათ სჭირდებათ რწყვა.

— თუმცა წუხნილს საბაბი ჯერ არ გვაქვს, — გვითხრა გაერთიანება „სამჭყალექსპლოატაციის“ უფროსის მოადგილემ ჯუმბერ კუციამ, — მაგრამ მინდვრებში შექმნილ სიტუაციას ფხიზლად უნდა ვადევნოთ თვალი. უკანასკნელი დღეების სიცხემ ბევრგან გამოამრო ველი-მინდვრები. ყველა სარწყავი სისტემა სრული დატვირთვით მუშაობს. წვიმიანი გაზაფხულის პერიოდში დაგროვილი წყლის მარაგი საკმარისია ივლისის რწყვისთვისაც. ჩვენი დღევანდელი საზრუნავია მოვაგროვოთ ტენის გეგმაზომიერი მიწოდება. ამისათვის შევადგინეთ წყლის მთავარი რეზერვუარების — სიონისა და თბილისის წყალსაცავების სადღეღამისო მუშაობის რაციონალური რეჟიმები. ახლა სიონის წყალსაცავში დაგროვილია 104 მილიონი კუბური მეტრი წყალი — შარშანდელთან შედარებით თითქმის ორჯერ მეტი.

უფრო წყალუხვი გახდა თბილისის „ზღვაც“. მას ეხმარება ენინგალის ჰიდროკვანძი. სარწყავი წყალი მიდის გარდაბნის, საგარეჯოსა და კახეთის სხვა რაიონების მინდვრებსა და პლანტაციებში.

ყველაზე ცხელი დღეები ალაზნის ველზე და მარნეულის რაიონში კიდევ მოსალოდნელია. და ამ ზონის მეურნეობებმა უნდა გააძლიერონ რწყვის ტემპი.

მეტად საჭიროა საქმეში მოვაქციოთ რწყვის ისეთი რეზერვი, როგორიც არის არტეზიული ჭაბურღილები. მარტო კახეთში ორასამდე ასეთი ჭაბურღილია. და თუმცა რწყვის ამ მიწისქვეშა წყაროების მოქმედების დიაპაზონი დიდი არ არის, მაგრამ გამოცდილი ხელმძღვანელები არ უგულებელყოფენ მათ და წყალს იყენებენ როგორც რწყვისათვის, ისე გრუნტის წყლების დონის დაქვეითებისათვის, რათა საშუალება არ მეიცეს მარილებს ამოიწიონ დედამიწის ზედაპირზე. (ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ).

ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ ᲒᲐᲔᲛᲒᲖᲐᲕᲠᲐ

ᲕᲘᲢᲔᲢᲜᲐᲛᲔᲚᲘ ხალხის გამოჩენილი შვილის, საერთაშორისო კომუნისტების, მუშათა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწის, საბჭოთა კავშირის დიდი მეგობრის, ვიეტნამის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლე ზუანის გარდაცვალებასთან დაკავშირებით სამგლოვიარო ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად 12 ივლისს მოსკოვიდან ჰანოის გაემგზავრა სსრ კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ი. რიჟკოვის მეთაურობით.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. თ. დობრინინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ბ. ნ. ჩაპლინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის მოადგილე მ. ნ. სმირნოვსკი.

აეროდრომზე დელეგაცია გააცილეს ამხანაგებმა ჰ. ა. ალიევმა, ლ. ნ. ზაიკოვმა, ა. ნ. იაკოვლევმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა.

გამცილებელთა შორის იყო ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში დინნო ლიემი. (ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ).

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲞᲠᲘᲢᲔᲠᲘᲣᲛᲘᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲘ ᲗᲕᲘᲡᲔᲑᲔᲑᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲓᲐᲡᲢᲣᲠᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი კალინინის რაიონის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების კადრების შერჩევისა და განაწილებისათვის პარტიის ქალაქ თბილისის კალინინის რაიკომის მუშაობის შესახებ. აღინიშნა, რომ იგი არ შეესაბამება სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის მოთხოვნებს, აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის ივნისის პლენუმის გადწყვეტილებებს. პარტიის რაიკომი პარტიული, სახელმწიფო ორგანოების აპარატში და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში აწინაურებდა მუშაკებს არა საქმიანი და პოლიტიკური თვისებების მიხედვით, არამედ პროტექციით, პირადი ერთგულების ნიშნებით, რაც კადრებთან მუშაობის ლენინური პრინციპების დარღვევა იყო.

კადრების შერჩევისა და განაწილებისას პარტიის რაიკომი ყოველთვის როდი ხელმძღვანელობდა საქმის ინტერესებით, არ ითვალისწინებდა რაიონის სპეციფიკასა და პრობლემებს, რაიონული პარტორგანიზაციის ეროვნულ შემადგენლობას.

ხშირი იყო შემთხვევები, როცა ნაჩქარევად აწინაურებდნენ ადამიანებს, რომლებსაც არ ჰქონდათ პარტიული მუშაობის გამოცდილება და საკმარისი პარტიული სტაჟი. მაგალითად, რაიკომის აპარატში დააწინაურეს ლ. ქინქლაძე, რ. რამიშვილი, რომლებსაც წლინახევრის პარტიული სტაჟი ჰქონდათ. რაიკომის მუშაკებად დამტკიცეს თ. აბშილავა და თ. ჩხიკვიშვილი მიუხედავად იმისა, რომ არ ჰქონიათ ამის სათანადო საფუძველი. პარტიის რაიკომის არც ერთ მუშაკს არა აქვს პარტიულ-პოლიტიკური განათლება, მხოლოდ სამი კაცია მუშისა და კოლმეურნის ოჯახიშვილი.

უხეში შეცდომებია დაშვებული საბჭოთა ორგანოების აპარატში კადრების შერჩევისა და განაწილების დროსაც. მაგალითად, მმაჩის ბიუროს გამგედ რეკომენდებული იყო „ინვმშენის“ ტრესტის მექანიკოსი ნ. ჯაბუა, რომელსაც არ ჰქონდა მუშობის შესაბამისი გამოცდილება, იურიდიული პრაქტიკა. რაიკომსკომის საბინაო ფართობის აღრიცხვისა და განაწილების განყოფილების გამგედ დამტკიცებული იყო საბურთალოს რაიონის „წყალკანალიზაციის“ სიექსპლოატაციო უბნის უფროსი მ. მამულაშვილი, რომელიც მხილებული იყო საძრახის საქმიანობაში. სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის ინსპექტორად დააწინაურეს ბ. ლომაია, რომელსაც არაფერი არ გამოუჩენია თავი კომკავშირულ სამუშაოზე ხანმოკლე საქმიანობის დროს.

რაიონული რგოლის განთავისუფლებულ პროფკავშირულ ხელმძღვანელთაგან დაახლოებით ნახევარი არ იცნობს წარმოების სპეციფიკას, მათ შორის ძალზე ცოტაა ახალგაზრდა პერსპექტიული მუშაკი. კადრების ასეთმა შერჩევამ გავლენა იქონია კომკავშირის რაიკომის აპარატის ფორმირებაზეც. მისი შემადგენლობის უმრავლესობას არ უმუშავია პირველად კომკავშირულორგანიზაციებში. მათ შორის არც ერთი არ არის მუშის ოჯახიშვილი.

პარტიის რაიკომი არ ეწევა მუშაობას კადრების ქმედითი რეზერვის შესაქმნელად. ასეთი რეზერვი ფორმალურად არსებობს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ კადრების შერჩევასა და განაწილებაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი და დარღვევები იმის შედეგია, რომ პარტიის რაიკომის პირველი მდივანი ზ. ა. ლომიძე იჩენდა უპრინციპობას და პროტექციონიზმს პასუხისმგებელი მუშაკების დანიშვნისას, რაიკომის მდივნებს, ბიუროს წევრებს კი ამ მხრივ შემრიგებლური პოზიცია ეკავთ, ხოლო პარტიის რაიკომის მეორე მდივანი ნ. მ. ზუბიაშვილი თავად არღვევდა პარტიულ და სახელმწიფო დისციპლინას. მან რაიონის სხვა ორგანიზაციების ხარჯზე რბილი ავეჯით გააწყო საკუთარი სამუშაო კაბინეტი.

კადრების შერჩევისა და განაწილებისთვის პარტიის კალინინის რაიკომის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები და დარღვევები შესაძლებელი გახდა იმის გამო, რომ პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტმა და მისმა განყოფილებებმა შეასუსტეს კონტროლი და მომთხოვნელობა.

კადრების შერჩევასა და განაწილებაში რაიკომის მიერ დაშვებულმა შეცდომებმა სერიოზული ვნება მიაყენა კალინინის რაიონის პარტიელთა, საბჭოთა, კომკავშირული ორგანოების ავტორიტეტს, სამართლიანი საჩივრებისა და განცხადებების საბაბი გახდა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების აპარატში კადრების შერჩევისა და განაწილებისათვის პარტიის ქალაქ თბილისის კალინინის რაიკომის მუშაობა არადამაკმაყოფილებლად ცნო.

იმის გამო, რომ პარტიის ქ. თბილისის კალინინის რაიკომის პირველი მდივანი ზ. ა. ლომიძე იჩენდა ლოიალურობასა და უპრინციპობას, შემრიგებლურ დამოკიდებულებას რაიონული რგოლის მმართველობითს აპარატში პროტექციის, პირადი ერთგულებისა თუ ნათესაობის მიხედვით პასუხისმგებელ მუშაკთა დანიშვნის ფაქტებისადმი, ამასთან ერთად და ყოველმხრივ არ ითვალისწინებდა მათს პოლიტიკურ, საქმიან და მორალურ თვისებებს, იგი განთავისუფლებულია თანამდებობიდან. პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტს დაევალა განიხილოს საკითხი, თუ რამდენად მიზანშეწონილია დარჩეს თანამდებობაზე პარტიის კალინინის რაიკომის მეორე მდივანი ნ. მ. ზუბიაშვილი. პარტიის საქალაქო კომიტეტს წინადადება მიეცა აგრეთვე დაუყოვნებლივ გახარიელოს ღონისძიებანი, რათა ძირეულად გარდაქმნას კადრებთან მუშაობა და გამორიცხოს ამგვარი დარღვევა-ნაკლოვანებანი საქალაქო პარტორგანიზაციაში.

საქართველოს კომპარტიის სკოლქმ, საქალაქო, რაიონული კომიტეტების, რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების ყურადღება შეეკითხა იმას, რომ საჭიროა ყოველმხრივ გაანალიზონ კადრების შერჩევისა და განაწილებისათვის მუშაობის მდგომარეობა, განახორციელონ გადამწყვეტი ღონისძიებანი გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად, პრინციპულად და ღრმად შეისწავლონ მუშაკთა საქმიანი და მორალურ-პოლიტიკური თვისებები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიჩნია, რომ საკადრო მუშაობას უნდა მიეცეს ფართო საჯაროობა, მუშაკთა დაწინაურებისას გაითვალისწინონ შრომითი კოლექტივების, პირველადი პარტიული ორგანიზაციების აზრი, ეფექტიანად გამოიყენონ კრიტიკისა და თვითკრიტიკის, განსაკუთრებით ქვემოდან კრიტიკის ნაკადი მეთოდი, რათა გამამტკიცონ დისციპლინა, გაძლიერონ ბრძოლა პროტექციონიზმისა და კარიერიზმის გამოვლინებების წინააღმდეგ, გაზარდონ დაკისრებული საქმისათვის კადრების პასუხისმგებლობა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში აღნიშნულია, რომ რესპუბლიკის პარტიული კომიტეტების პირველ მდივნებს, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებს ეკისრებათ პერსონალური პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ მტკიცედ იცავდნენ კადრების შერჩევისა და განაწილების ლენინურ პრინციპებს, განუხრელად ახორციელებდნენ პოლიტიკური, საქმიანი და მორალური თვისებების მიხედვით მათი დაწინაურების გეზს.

(ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ).

ᲮᲕᲐᲕᲠᲘᲔᲚᲘ ᲗᲕᲘᲗᲖᲭᲘᲠᲐ

ᲑᲝᲒᲝᲛᲐᲪᲐᲠ ზღვასთან ჭიდილში მებადურს ათასი ხიფათი სდევს, ამატომაც ეს პროფესია ეკუთვნის ამატომაც ეს პროფესია ეკუთვნის ამატომაც ეს პროფესია ეკუთვნის ამატომაც ეს პროფესია ეკუთვნის ბრძოლისა და მამაცობის სიმბოლოა. აჭარის თევზჭერის სამმართველოსა და კოლმეურნეობა „წითელი მეთევზეში“ ბევრია ისეთი ბრიგადა, რომლებმაც საქვეყნოდ გაითქვეს სახელი. სწორედ მათი თავდადებული შრომა განსაზღვრავს სამმართველოსა და მეთევზეთა კოლმეურნეობის ეკონომიკურ წინსვლას.

ბოლო წლებში აჭარის მებადურებს არ ულხინდათ. იქლო თევზმა, ცუდი იყო რეწვა, უძნელდებოდათ გეგმების შესრულება. წლეულს მდგომარეობა საგრძნობლად გამოსწორდა. თევზის რეწვის ნახევრი წლის გეგმა სამმართველოს კოლექტივმა 107,9 პროცენტით შეასრულა. განსაკუთრებით ხვავრიელი გამოდგა მეორე კვარტალი. დაევალა 223 პროცენტით შესრულდა, გაიზარდა პროდუქციის რეალიზაციის მაჩვენებელი. სავაჭრო ქსელში გეგმის გადამეტებით გაიგზავნა საკმაოდ სოლიდური რაოდენობის შებოლილი თევზი და სხვა ნაწარმი.

წლისა და მთლიანად მეთორმეტე ხუთწლედის ვადამდე და გადამეტებით შესრულებისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში თვალსაჩინო წარმატებებს აღწევენ იმ სეინერების კოლექტივები, რომლებსაც ხელმძღვანელობენ კაპიტან-ბრიგადირები ჯ. დევდარიანი, ვ. მადოიანი და გ. უკლება. აღსანიშნავია, რომ მათ უკვე შეასრულეს წლიური გეგმა.

ზღვის „ხასიათს“ ისევე უნდა ჩაწვდე, როგორც ადამიანისას. უნდა გაგო საით მიემართება თევზის ქარავნები. ზღვის ღელვის დროს თევზი სიღრმეს აფარებს თავს. მებადურებმა ბადეები დაგორდელეს და ჭირის ახალ მეთოდებს დაეუფლნენ, თანამედროვე აპარატურაც ძალიან ეხმარებათ. მისი წყალობით ადვილდება თევზის ადგილსამყოფელის მიგნება.

ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს თევზის დროულ და მაღალხარისხოვან გადამუშავებას. კარგ შედეგებს იძლევა მებადურებსა და პროდუქციის გადამუშავებელ კოლექტივებს შორის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება.

ბათუმის სეინერთა ნაწილი ამჟამად აზოვის ზღვის ზონაშია. იქ მებადურებს ხვავრიელი რეწვა აქვთ.

„კომუნისტის“ საკ. კორ.



ᲖᲐᲛᲗᲐᲠᲘ ᲡᲣᲚ ᲛᲐᲚᲔ ᲛᲝᲕᲐ

ᲗᲕᲘᲗᲛᲤᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲬᲘᲠᲜᲔᲝᲑᲐ

ᲓᲘᲐᲮ, სულ მალე მოვა ზამთარი, მოემზადებლს საგონებელში ჩაგდებს, და კანონზომიერიც იქნება. მარხილს რომ ზაფხულში ამზადებენ, ამის შეხსენება არ უნდა სჭირდებოდეს სამეურნეო ხელმძღვანელს, არც ერთი ორგანიზაციის თავკაცს. მარხილების მომზადება ამ შემთხვევაში ეხება სამრეწველო საწარმოების, სამშენებლო და სატრანსპორტო ორგანიზაციების მიერ ელექტროენერგიის მოჭიმრნად ხარჯვისათვის კონკრეტულად გამოზნული ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების განხორციელებას, ენერგოდამზოგველი მოწყობილობის დანერგვას.

სხვადასხვა ობიექტური მიზეზების გამო მიმდინარე წლის შემოდგომა-ზამთრის პიკის საზონი ძალიან დაძაბული იქნება. დეფიციტი ას მილიონობით კილოვატსაათს მიაღწევს. თუ ახლავე არ დავიჭირეთ თადარიგი, ძალიან გაგვიჭირდება. არავინ იცის, რა სიურპრიზს მოგვიტანს სეზონი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის III პლენუმზე აღინიშნა, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოთ სათბობ-ენერგეტიკულ კომპლექსს და კერძოდ, ელექტროენერგეტიკას, სადაც უკვე თხუთმეტი წელია პრაქტიკულად არ ამოქმედებულა საბაზისო ელექტროსადგურების ახალი სამძლავრეები. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მხარი დაუჭირა თხოვნას, რომ დაჩქარდეს თბილისის სახელმწიფო ელექტროსადგურში სამძლავრეთა დამატებით ამოქმედებასთან, თბილისის ახალი თბოელექტროცენტრალის მშენებლობასთან, ხუდონჰესის ამოქმედებასთან და ელექტროგადამცემი ხაზების აგებასთან დაკავშირებული საკითხის გადაწყვეტა.

დიახ, ეს სამომავლო საქმეა, მაგრამ როგორ არის საქმე დღეს, როგორ ვხვდებით ზამთარს?

ამის შესახებ გვესაუბრა „საქმთავარენერგოს“ უფროსი იური ჭედია.

ჩვენს რესპუბლიკაში,—გვითხრა მან, — ყველაფერი კეთდება წლის შემოდგომა-ზამთრის პერიოდში მოსახლეობისა და წარმოება-დაწესებულებების ენერგიით უზრუნველყოფისათვის. მიმდინარე წლისა და მოლიანად ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის ყოველივეა ნაგულისხმევი. ელექტროსადგურმა იმუშაოს შეუფერხებლად. ამისათვის კი განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ელექტროსადგურების პროფილაქტიკას. დღეისათვის რესპუბლიკაში შეკეთებულია 331 მეგავატი სიმძლავრის ტურბო და ჰიდროაგრეგატები — გეგმით გათვალისწინებულზე 295 მეგავატით მეტი, რაც გეგმას 12 პროცენტით აღემატება. გარემონტდა 39,5 მეგავატი სიმძლავრის 35 კილოვატი და მეტი ძაბვის ტრანსფორმატორები, 64 ცალი 35 კილოვატი და მეტი ძაბვის ზეთის ამომრთველები, 60 კილომეტრი სიგრძის 110 კილოვატი და მეტი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზები. განხორციელდა კაპიტალური რემონტი, რომლის მოცულობის ღირებულებამ 2 მილიონ მანეთს მიაღწია. სამუშაოთა უმეტესი ნაწილი საკუთარი ძალებით შესრულდა.

კვლავ ამოქმედდა ენგურჰესი. ამ ჰიდ

იჯარის კეთილი ნაყოფი

შრომის ნაყოფიერება — დიდი, კოლმეურნის განწყობილება — უკეთესი

ლაგოდეხის რაიონში მრავალი მოწინავე კოლმეურნეობაა. მათ შორის აღსანიშნავია სოფელ აფენის კოლმეურნეობა „საქართველო“. მის მადლიან მიწაზე ბევრი ისეთი კულტურა ხარობს, რომლებიც სუბტროპიკული რაიონებისათვის არის დამახასიათებელი. მრავალდარგოვან კოლმეურნეობაში მისდევენ მეაბრეშუმეობას, მეცხოველეობას, მემინდვრეობას, მებოსტნეობას, მეთამბაქოეობას, მევენახეობას, მოჰყავთ ეთეროვანი კულტურები. მიუხედავად ამისა შემოსავლის მთავარი წყარო მაინც მევენახეობა და მეთამბაქოეობაა.

რაიონმა შარშანდელი შედეგების მიხედვით მევენახეობაში მიღწეული წარმატებებისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, რესპუბლიკის პროფსაბჭოს და საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა მიიღო. ამ წარმატებაში გარკვეული წვლილი შეიტანეს აფენის კოლმეურნეობის მშრომელებმაც. შარშან 3.240 ტონის ნაცვლად 4.835 ტონა ყურძენი აწარმოეს. ცენტნერი ყურძნის წარმოება 10 მანეთით გაიაფეს. კოლმეურნეობამ ყურძნიდან 734 ათასი მანეთის წმინდა შემოსავალი მიიღო. მევენახეებს შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში აფენელებმა ყველა შრომითს კოლეტივს აჯობეს და რაიონის გარდამავალი დროშა დაიმსახურეს.

ასეთივე წარმატებები აქვთ მეთამბაქოეებსაც. მათ შარშან 680 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს 842 ტონა ხარისხოვანი თამბაქო მიჰყიდეს, ცენტნერი თამბაქოს წარმოება 40 მანეთით გააიაფეს.

აფენელმა მევენახეებმა და მეთამბაქოეებმა წარმატებებს კოლექტიური იჯარის დანერგვით მიაღწიეს, მექანიზაციას ფართოდ იყენებენ და თითოეული წევრის შრომის საბოლოო შედეგიც საამაყოა.

კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ა. ცერცვაძემ სწრაფად აუღო ალღო ბრიგადული იჯარის უპირატესობას. მას პარტიული კომიტეტის მდივან თ. ჭიღლაძესთან და გამგეობის სხვა წევრებთან ერთად გარკვეული ახსნა-განმარტებითი მუშაობის ჩატარება მოუხდა, რათა ყველას კარგად გაეგო კოლექტიური იჯარის სიკეთის არსი. ახლა ბრიგადის თითოეულმა წევრმა ჩინებულად იცის თავისი საქმე, ყოველი მანეთი აღრიცხვაზეა და უღალატოდ იბრძვიან საგებმო დავალების უთუოო შესრულებისათვის.

ბევრი მოწინავე საიჯარო ბრიგადაა კოლმეურნეობაში; მათ შორის აღსანიშნავია მევენახეობის ის ბრიგადა, რომელსაც ი. მჭედლიძე ხელმძღვანელობს. საუკეთესოა მეთამბაქოეობის ბრიგადაც (ბრიგადირი — შ. ნოზაძე). ამ ბრიგადების თითოეული წევრი საშუალოდ თვეში შესაბამისად 450-500 მანეთს იღებს.

კოლმეურნეობამ წარმატებით დაიწყო მეთორმეტე ხუთწლიდის პირველი წელი. ვადაზე ადრე შეასრულა სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის ოთხი თვის დავალება.

მევენახეებმა 441 ჰექტარ ზერებში დაამთავრეს ვენახების საგაზაფხულო სამუშაოები. სიმჭიხრის აღკვეთის მიზნით გადაწვინეს 15 ათასი ძირი და 20 ათასზე მეტს გაუგრძელეს მხარი. მოწინავე მევენახეები ბეჟან კოვზირიძე, სულიკო ღუღუნაშვილი, იური ჩალაძე, ოთარ ლაბაძე და სხვები თავდადებული შრომის მაგალითს იძლევიან, რათა მიღწეული წარმატებები კიდევ უფრო გაზარდონ და რაიონული გარდამავალი წითელი დროშა საბოლოოდ შეინარჩუნონ.

თანამედროვეთ ტოლს არც მეთამბაქოეები უდგებენ. მოწინავე მეთამბაქოეებმა ელიკო სისვაძემ, იზოლდა შუკაკიძემ, პავლე გოგრიჭიანმა, ავთანდილ გაგნიძემ და სხვებმა შუა აპრილში დაიწყეს ჩითილების რგვა და თამბაქოს პლანტაციების გაშენების ეს საპასუხისმგებლო სამუშაოები მაისის პირველ ნახევარში დაამთავრეს.

აფენელი კოლმეურნეები მონდომებით შრომობენ, რათა თავიანთი გარკვეული წვლილი შეიტანონ ახალი ხუთწლედის პირველი წლის დავალებათა შესრულებაში.

მ. ფუბითიძე.

ჭაობში ჩაყრილი მილიონები...

◆ ვის აძლევს ხელს ასეთი ექსპერიმენტი? ◆ „ტიპობრივი პროექტი“ — ჩითილებისათვის, თუ ლიმონარიუმისთვის? ◆ სად არის ძალლის თავი დამარხული?!

„ლიმონარიუმები სუფსის ნაპირზე“, „ლიმონარიუმები კოლხეთის მშენებენ“, „ბაღიდან ლიმონარიუმებში“, „ისევ ლიმონისა და ლიმონარიუმების შესახებ“ — აი სათაურები იმ წერილებისა, რომლებიც „კომუნისტის“ ფურცლებზე სხვადასხვა დროს დაიბეჭდა. მას შემდეგ, რაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 2 ივნისს დადგენილება გამოქვეყნდა „1981-1985 წლებში და 1990 წლამდე პერიოდისათვის რესპუბლიკაში ლიმონის კულტურის წარმოების განვითარების ღონისძიებათა შესახებ“, გაზეთმა დღის წესრიგში დააყენა მთელი რიგი პრობლემატური საკითხები სადირექტივო ორგანოების გადაწყვეტილებათა განუხრელი განხორციელებისათვის, ლიმონის მეურნეობის განვითარებისა და მისი მოსავლიანობის საუხვისათვის.

ძნელია ლიმონის მოყვანის მთელი იმ ინტენსიური მეთოდებისა და ხერხების ჩამოთვლა, რომელსაც გაზეთი მხარს უჭერდა. ანბანური ჭეშმარიტება გახლავთ, რომ ლიმონი ციტრუსოვანთა მეფეა, მომგებიანია, ბარაქიანი მოსავალი იცის, უხვად ანაზღაურებს შრომასა და გაწეულ ხარჯებს. „კომუნისტი“ დაბეჯითებით ეიღებდა რეზერვებს და სამართლიან პროპაგანდას უწევდა ლიმონის მოყვანის იმ პროგრესულ მეთოდებს, რომელთა მოხმარებითაც არა მარტო კოლხეთის დაბლობის საუკეთესო პირობებში, არამედ არასუბტროპიკულ რაიონებშიც ხარობს ეს სათუთი კულტურა. ეს არის მარტივი ტიპის ლიმონარიუმები, სადაც ყოველგვარი გათბობის გარეშე კარგად იზამთრებს და უხვ მოსავალსაც იძლევა ეს მცენარე.

როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, ამ სასარგებლო საინიციატივო თაოსნობის წამომწყები ინიციატორი გახლავთ ლანჩხუთის რაიონის სოფელ სუფსის მკვიდრი, თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი ბიძინა სარჯველაძე. ეს დაუზარელი მეცნიერი მთელი თავისი დღე და მოსწრება ჩაჰკირკიტებს თავის საყვარელ საქმეს — კოლხეთის სავარგულებზე ნიადაგის გაკულტურებისა და ლიმონის უხვი მოსავლის მოყვანას. პირველი ცდა საკუთარ საკარმიდამოზე მოაწყო, სადაც მარტივი ტიპის გამოსაზამთრებელი ლიმონარიუმები გამართა. მთელი სოფელი იმედის თვალით შეჰყურებდა მეცნიერის საყურადღებო ექსპერიმენტს, გაამართალა კიდეც. ყოველგვარი გათბობის გარეშე ჩინებულად გაუძლო ლიმონარიუმმა ზამთრის სუსხსა და ყინვას. ის კი არა, წელიწადში ორი მოსავალიც კი მიიღო. ამის შემყურე სუფსელებმა მასობრივად მოჰკიდეს ხელი საკუთარ კარ-მიდამოში ლიმონარიუმების მოწყობას. გავიდა წლები და რას ვხედავთ: სოფელში არ არის ოჯახი, რომელსაც ლიმონარიუმი არ ჰქონდეს, ყველა ოჯახს საშუალოდ 80-100 ძირი ლიმონი უდგას მარტივი ტიპის ლიმონარიუმში. ყოველი წლის სეზონში მილიონობით ცალ ლიმონს აბარებენ სახელმწიფოს.

ახლა დასამალი არ არის, რომ მარტივი ტიპის გამოსაზამთრებელ ლიმონარიუმებში ლიმონის მოყვანა იაფი და ყველასათვის ხელმისაწვდომი მეთოდია ლიმონის სუფთასათვის დღემდე ჩატარებულ ექსპერიმენტებს შორის. ამაზე მარტო ის ფაქტიც მეტყველებს, რომ მარტივი ტიპის ლიმონარიუმებმა სამაგალითოდ გაამართლა არასუბტროპიკულ ზონაშიც, მაგალითად, იმერეთში: ვანის რაიონის სოფლების შუამთის, ციხესულორის, სულორის და ზვინდარის საბჭოთა მეურნეობებში ამ ორიოდე წლის წინათ გააშენეს ლიმონარიუმები და ახლა ლიმონის უხვ მოსავალს იღებენ.

პროფესორ ბ. სარჯველაძის მიერ შემუშავებული პროგრესიული მეთოდი ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებსაც გასცდა, ურალის მხარეში — ჩელიაბინსკშიაც გააშენეს ლიმონი ლიმონარიუმებში. ამის შესახებ ჯერ კიდევ გაზეთ „პრავდის“ 1984 წლის 8 ოქტომბრის ნომრის პირველ გვერდზე იყო ამ გაზეთის კორესპონდენტის ვ. ჩერეპანოვის საინტერესო სტატია, სადაც ქება-დიდებას ასხამენ ქართველ მეცნიერს, რომელიც ლიმონარიუმების მოწყობაში დახმარებასა და სისტემატურ კონსულტაციას უწევს ამ საქმით დაინტერესებულთ.

ასეთი და კიდევ სხვა მაგალითების მოყვანა, შეიძლება, როცა მრავალი წლის ანალიზმა ბოლოს და ბოლოს დაადასტურა სარჯველაძისეული მეთოდის დიდი უპირატესობა ლიმონის ნარგავების ყინვებისაგან დაცვისა და საერთოდ მარტივი ტიპის ლიმონარიუმის მოწყობის საქმეში.

ამ დროს კი რაოდენ დასანანია, რომ ზოგიერთი სამშენებლო ორგანიზაციის დაუდევრობითა თუ უხეირო პროექტის შემდგენელთა გულგრილობით მილიონობით მანეთი სახელმწიფო თანხა წყალშია ჩაყრილი — და ეს მოხდა ექსპერიმენტული ლიმონარიუმების მშენებლობებზე, რომლებიც ათობით ჰექტარს მოიცავს.

ამის თაობაზე მწვავე სიგნალები შემოვიდა გაზეთ „კომუნისტის“ საკორესპონდენტო პუნქტში. დავიწყეთ საქმის შესწავლა. პირველად ხობის რაიონის პატარა ფოთის ლენინური კომკავშირის სახელობის ციტრუსოვანთა მეურნეობას ვეწვეთ. ჩვენთან ერთად იყვნენ ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი ვ. ჯაყელი, ამ ინსტიტუტის სხვა ხელმძღვანელი ამხანაგები, ცნობილი მეცნიერები, ციტრუსოვანთა კულტურების მცოდნე სპეციალისტები. აქ დაგვხვდნენ სამშენებლო ორგანიზაციათა წარმომადგენლები, ინჟინერ-მშენებელთა ჯგუფი. დავთვალიერეთ 8 ჰექტარზე განლაგებული ლიმონარიუმის სასათბურე ნაგებობანი. სათბურის ფარგმენტები ისე სუსტია, ხელის შეხებითაც ირყევა, ეს-ეს არის წაიკეცვაო, იფიქრებს კაცი. ეს მართლაც ასეა, როგორც აქ გვითხრეს, რამდენიმე ჰექტარზე ქარს დაუნგრევია კიდეც უსუსურად აგებული სათბურები. ჩვენი თვალით ვნახეთ მეურნეობის კანტორის მახლობლად გორა-გორად დახროვილი ლითონის ნაკეთობანი, რომელიც ამ რამდენიმე ხნის წინათ სათბურის ნგებობას წარმოადგენდა, მაგრამ რიონის სანაპიროდან მონაბერმა ძლიერმა ქარმა მიწასთან გაასწორა. საკითხავია, ამის შემყურე მშენებლებმა კიდევ რა გულით ააგეს შედარებით უფრო სუსტი კონსტრუქციების მქონე სათბურები იქვე მახლობლად, უფრო საშიშ ტრიალ მინდვრებში, სადაც ერთი ქარდამცავი ხეც კი არ დგას?

სასათბურე შენობის კონსტრუქციებს აქაური ქარი წარამარა ანგრევს, როცა გადაიხურება, მაშინ სულ გაატიალებს. ამის უტყუარი მაგალითები თითზე ჩამოსათვლელი რიოდა. მაშ, რამ აიძულა მშენებლები, რომ ამ ფრიად უპერსპექტივო მშენებლობას წლები შეალიეს და 1.400 ათას მანეთზე მეტი სახელმწიფო თანხა დახარჯეს, უფრო სწორად, წყალში გადაყარეს?

გაქვეყლს გატეხილი სჯობს: მთელი დღე იმის სჯა-ბაასში ვიყავით, თუ ვის მოუვიდა აზრად ამოდენა თანხის აკეთება, უშედეგოდ გაფლანგვა, მაგრამ არც სამეცნიერო დაწესებულებათა წარმომადგენლებს, არც მეურნეობათა ხელმძღვანელებს ერთი სიტყვა არ დასცდენიათ იმის თაობაზე, თუ კონკრეტულად ან ვინ აგებს პასუხს ამ სერიოზული დარღვევებისათვის. მილიონ-ნახევარი მანეთის ასე უყაირათო ხარჯვა სახელმწიფო დანაშაულია, უფრო მეტიც — მინდობილი საქმის ღალატია.

ამ ახალბედა მეურნეობას მუშათა საცხოვრებელი ბინებიც კი არ გააჩნია, ხელფასის გაცემაც უძნელდება, ხოლო იქვე მეურნეობის შემოღობილში აურაცხელ სახსრებს კვლავ ანიავებენ. დანაშაულებრივი დაუდევრობა ამაზე შორს ვერ წავა.

კიდევ უფრო უარესი ფაქტი ვნახეთ სოფელ ხიდმაღალას ექსპერიმენტული ლიმონარიუმების მეურნეობაში. აქ სასათბურე ნაგებობათა მშენებლობა 1982 წლის თებერვალში დაიწყეს 8 ჰექტარზე. მშენებლობის საერთო სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 2.685 ათას მანეთს შეადგენდა. მშენებლობა 1984 წლის მეოთხე კვარტალში უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ სამუშაოების დამთავრებაზე ახლა საერთოდ ზედმეტია ლაპარაკი.

ვინ იყო დამკვეთი?

საქართველოს სსრ აგროსამრეწველო კომიტეტის მშენებარე საწარმოების გაერთიანებული დირექციის ქუთაისის ზონალური სამმართველო (უფროსი — ხახანაშვილი).

მშენებელი ორგანიზაცია? — ამავე კომიტეტის რესპუბლიკური საწარმო გაერთიანება „საქსოფლმონტაჟკომპლექტის“ ქ. ფოთის № 13 მოძრავი მექანიზებული კოლონა (ყოფილი უფროსი — მ. მისხალია).

იმაზე უფრო დიდი უმსგავსობა რაღა იქნება, როცა ჰექტარზე გადაბიმული სასათბურე ლიმონარიუმის ნაგებობანი პირდაპირ ჭაობშია ჩადგმული. ერთხელ იყო და, კოლხეთმშენებლებმა დააშრეს მდინარე სუფსის სანაპიროს ეს ადგილები, მაგრამ მას შემდეგ წყალგამტარი არხები არავის გაუწმენდია, ამიტომ ნაჭაობარში კვლავ ჩადგა წყალი, რის გამოც სათბურის ლითონის კონსტრუქციები ალაგ-ალაგ ჭაობშია ჩაძირული. სასათბურე საღრენაჟო სისტემა, რომლის მშენებლობაზე 240 ათასი მანეთი დახარჯა, უვარგისია, მოუწყობელია ბეტონის ბილიკები, მომანდაკების სამუშაოები ჯერაც არ დაწყებულა, არ დაწყებულა აგრეთვე მაღალი ძაბვის სათადარიგო ხაზის მშენებლობა. სათბურებში ლითონის კონსტრუქციები დეფარმირებულია. ბეტონის საყრდენი ბოძები სანახევროდ დაშლილია. ჯერ კიდევ 2 წლის წინათ შეწყვეტეს სათბურებისათვის განკუთვნილი მშენებლობა 2 ჰექტარზე, სადაც შესრულებული იყო 16 ... 2 მილიონამდე მანეთი. მ... ... ...

კრიტერიუმი ერთია — ცოდნა

უმაღლესი სასწავლებლების რექტორები გვესაუბრებიან მომავალ მისაღებ გამოცდებზე

მალე დაიწყება მისაღები გამოცდები — მნიშვნელოვანი პერიოდი უმაღლესი სასწავლებლების ცხოვრებაში. ეს გამოცდები „ათიათასობით" ქალაქშვილისა და ჭაბუკის არა მარტო ცოდნას შეამოწმებს, არამედ მათს სიმწიფესაც, იმის უნარს, შეუძლიათ თუ არა შემოქმედებითად იაზროვნონ, მაღალი მოქალაქეობრივი პოზიციიდან შეიფასონ ის, რითაც ცხოვრობს რესპუბლიკა და მთლიანად ქვეყანა. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობა ელის ღირსეულ ცვლას, სადაც მაღალი კლასის სპეციალისტებს, რომლებსაც შეეძლებათ უფროს ამხანაგებთან ერთად გადაწყვიტონ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დარჩენილი ამოცანები.

საბჭოთა ადამიანები უდიდესი დაინტერესებით განიხილავენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტს — უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების გარდაქმნის ძირითად მიმართულებებს. ასეთი ინტერესი კანონზომიერია. უმაღლესი სკოლის გათვალისწინებული გარდაქმნა ხომ საერთო სახელმწიფო მასშტაბის ღონისძიება, თანამედროვე ეტაპზე საზოგადოების განვითარების ერთ-ერთი გადაუდებელი ამოცანაა.

სპეციალისტთა მომზადების ხარისხის გაუმჯობესება ბევრად არის დამოკიდებული უმაღლესი სასწავლებლების დაკომპლექტების გაუმჯობესებაზე, იმაზე, შეძლებს თუ არა ინსტიტუტი იპოვოს „თავისი" სტუდენტი, ათასობით აბიტურიენტში გამოარჩიოს ის, ვინც უმაღლეს სასწავლებელში მოვიდა მოწოდებით, შეგნებულად აირჩია მომავალი პროფესია. სწორედ ამას ისახავს მიზნად უმაღლეს სასწავლებლში მიღების ახალი წესები, რომლებიც არა მარტო ერომანეთს უხამებენ სახალხო მეურნეობის ინტერესებსა და პიროვნების ინტერესებს, არამედ აფართოებენ კიდეც უმაღლესი სასწავლებლების უფლებებს.

ეს განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებს რექტორატებს, მიმღები კომისიების წევრებს, უმაღლესი სასწავლებლების საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რათა ჯეროვან დონეზე მოეწყოს მისაღები გამოცდები, მკაცნობიერი საჯაროობის, ობიექტურობის, კეთილმოსურნეობის ვითარებაში. თითოეულს მტკიცედ უნდა სწამდეს, რომ სტუდენტთა ახალი კონტინგენტის მიღების დროს მთავარი კრიტერიუმია ცოდნა.

საქინფორმის კორესპონდენტებმა გ. კენჭოშვილმა და ი. გოლდმანმა სთხოვეს საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების რექტორებს ეამბნათ მომავალ მისაღებ გამოცდებზე.

ნ. ამაღლობელი,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი

ამ ზაფხულს რესპუბლიკის უძველესი უმაღლესი სასწავლებლის 18 ფაკულტეტზე ჩაირიცხება 2555 ქალაქშვილი და ჭაბუკი — მეტი, ვიდრე შარშან. სტუდენტთა ახალ კონტინგენტზე ბევრად იქნება დამოკიდებული უმაღლესი სასწავლებლის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტით დასახული ამოცანების წარმატებული განხორციელება. აი რატომ ვემზადებით განსაკუთრებით გულმოდგინედ, რათა სათანადო დონეზე მოვაწყოთ მისაღები გამოცდები. სიახლე ბევრია. ჯერ ერთი, ამჟამად უმაღლესი სასწავლებელი დაიწყებს ფართო პროფილის ეკონომისტების მომზადებას. ამიტომ სპეციალობაზე — სახალხო მეურნეობის, მრეწველობის, შრომის დაგეგმვა გამოცხადდა საერთო კონკურსი. ეს ვრცელდება მნათესავე ფიზიკის დისციპლინებზეც.

სპეციალობის — ჟურნალისტიკის, სამართალმცოდნეობის, ფილოსოფიის, სტატისტიკის, ფინანსებისა და კრედიტის ქართულ სექტორზე შემსულელნი პირველად დაწერენ კარნახს რუსულ ენაში. ისინი, ვისაც სურს გახდეს რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი, ჟურნალისტი ან სამართალმცოდნე (რუსული სექტორი) გამოცდას ჩააბარებენ უცხო ენაში.

წინა წლებისაგან განსხვავებით ყველა შეღავათი მინიმუმამდეა შემცირებული. გამონაკლისი იქნებიან მხოლოდ საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზებულნი, ისინი, ვინც მსახურობდა ავღანეთში საბჭოთა ჯარების შეზღუდულ კონტინგენტში. მთავარი გადამწყვეტი კრიტერიუმი უმაღლეს სასწავლებლში შესვლის დროს ცოდნაა. როგორც წესი, ბოლო წლებში ჩვენთან მოდის შრომისმოყვარე ახალგაზრდობა, რომელსაც სურს სწავლა და ამის უნარიც შესწევს. უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლის, მიმღები კომისიების ყველა წევრს კარგად ესმით თავიანთი დიდი პასუხისმგებლობა — შეარჩიონ უმაღლეს სასწავლებელში ყველაზე ღირსეული, მცოდნე, მომზადებული აბიტურიენტები. მათ ნიადაგ ახსოვთ, რომ შეფასების უტყუარობა ბევრად არის დამოკიდებული ბამბაცდელთა ტაქზე, ყურადღებაზე, კეთილმოსურნეობაზე. მისაღები გამოცდები მოიწყობა სასკოლო პროგრამების შესაბამისად.

გამოცდების პერიოდში ფართო საჯაროობის ვითარების შესაქმნელად შემოშავებულია სპეციალური ბიულეტენები, რომლებიც გამოკრული იქნება სტენდზე უნივერსიტეტის შესასვლელთან და ცნობათა ბიუროსთან. ამ ბიულეტენებით აბიტურიენტები მიიღებენ სრულ ინფორმაციას თითოეული სპეციალობაზე ადგილების რიცხვისა და შეტანილი განცხადებების რაოდენობის შესახებ, ყოველდღიურ მონაცემებს გამოცდების მსვლელობაზე.

მიმღები კომპანიისთვის მზადებისას ზოგიერთი პრობლემა გაჩაეთოთ, განვაზოგადეთ წინა წლების გამოცდილება. ვფიქრობთ, რომ უნივერსიტეტის სტუდენტებად გახდომის მსურველი იქნება 12-14 ათასი კაცი. ამის გამო დიდი იქნება კონკურსი ორმოცივე სპეციალობაზე. მაგრამ მოსალოდნელია, რომ კონკურსი არათანაბრად განაწილდება, მაგალითად, პროგნოზების მიხედვით, იურიდიული ფაკულტეტის ყოველ ადგილზე მოვა ოც კაცზე მეტი, ფიზიკის ფაკულტეტზე კი — დაახლოებით ორი. ასეთი ტენდენცია, სამწუხაროდ, პირველი წელი არ არის, რაც შეინიშნება. ეს, ჩვენი აზრით, პროფორიენტაციის ნაკლია. სასურველია, რომ აბიტურიენტები პროფესიის არჩევისას თავიანთ საწინდრებზე რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მოთხოვნებს ამა თუ იმ სპეციალობაზე. მაგალითად, დღეს გვჭირდება სპეციალისტები ფიზიკის, გამოყენებითი მათემატიკის, სხვა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დარგში.

ზ. ავიძბა,
აფხაზეთის მ. გორკის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი

ჩვენი უნივერსიტეტი უმაღლესი სასწავლებლების რუკაზე შვიდი წლის წინათ გაჩნდა. მისი პოპულარობა წლითიწლობით იზრდება. აფხაზეთი რესპუბლიკის მოსახლეობის ეროვნული შადგენლობის გათვალისწინებით უმაღლესი სასწავლებელი სპეციალისტებს ამზადებს აფხაზურ, ართულ და რუსულ სექტორებზე. ელს გამოცხადებულია მიღება 8 სპეციალობაზე.

ასპრობფორიენტაციო გასაუბრება აბიტურიენტებს მისცემს დამატებით ქულებს, რომლებიც შეჯამდება გამოცდებზე მიღებულ შედეგებთან ერთად.

უნივერსიტეტში მიღების წესების არსებითს ცვლილებებთან დაკავშირებით ყოველდღე მუშაობს ოცნობარა-საინფორმაციო ბიუროო, სადაც აბიტურიენტები და ათი შობლები იღებენ პასუხს ომავალ კონკურსთან დაკავშირებულ მათთვის საინტერესო ველა საკითხზე.

ამჟამად აფხაზეთის უნივერსიტეტში შემომსულელთაგან ბევრი ვენ კარგი ნაცნობია. ეს წლის განმავლობაში გაწეული სერიოული მუშაობის შედეგია. ფაკულტეტებისა და კათედრების წამყვანი სპეციალისტები მოგზაურობდნენ ავტონომიური რესპუბლიკის ყველა რაიონში, ხვედრდნენ საშუალო სკოლების კურსდამთავრებულებს, მუშა და

ო. ნათიშვილი,
საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორი

575 აბიტურიენტი გახდება უმაღლესი სასწავლებლის დღის განყოფილების სტუდენტი. რვა ფაკულტეტი 15 სპეციალობით მოამზადებს სპეციალისტებს რესპუბლიკის აგრომრეწვისათვის.

უმაღლესი სასწავლებელი პირველად მოამზადებს სოფლის მეურნეობის ფართო პროფილის სპეციალისტებს. მაგალითად, აგრომელიორაციის, საკვებწარმოებისა და სელექციის, მეთესლეობის სპეციალობებს შეაცვლის ერთი — ფართო პროფილის აგრონომი. მეორე მაგალითი: გაერთიანდა მიწათმოქმედების მექანიზაცია და მეცხოველეობის მექანიზაცია. მათი კურსდამთავრებულები მიიღებენ სოფლის მეურნეობის მექანიზატორის დიპლომს.

გვაქვს ახალი სპეციალობაც — ჰიდრომელიორაციული სამუშაოების მექანიზაციის ინჟინერი. დღემდე ამ პროფილის სპეციალისტებს ამზადებდნენ მოსკოვისა და ნოვოჩერკასკის ჰიდრომელიორაციის ინსტიტუტები, მაგრამ — ცოტას. ამიტომ რესპუბლიკის აგრომრეწვი და მთავარწყალმშენი მუდამ კადრების ნაკლებობას განიცდიდნენ. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი ყოველწლიურად გამოუშვებს 25 ინჟინერ-ჰიდრომელიორატორს.

მისაღები გამოცდებისათვის უმაღლესი სასწავლებლის კოლექტივი საფუძვლიანად მოემზადა. ტელე-რადიო და სხვა ტიპიკური საშუალებანი დაგვეხმარება გამოცდები ფართო საჯაროობისა და ობიექტურობის ვითარებაში მოვაწყოთ. მისაღები გამოცდების ახალ წესებთან დაკავშირებით ყველა ფაკულტეტი დაყოფილია სამ ძირითად ჯგუფად. მექანიზაციის, ელექტრიფიკაციის, სატყეო მეურნეობის, მეღვინეობის და კონსერვირების ტექნოლოგიის სპეციალობებზე შემსვლელნი აბარებენ მათემატიკას (წერითი გამოცდა) და ფიზიკას (ზეპირი). აბიტურიენტები, რომლებმაც აირჩიეს ეკონომიკის სპეციალობანი, გამოცდებს ჩააბარებენ მათემატიკაში (წერითი) და ბიოლოგიაში (ზეპირი). აგრობიოლოგიური პროფილის სპეციალობაზე — ფიზიკაში (წერითი) და ბიოლოგიაში (ზეპირი). ყველასათვის აუცილებელია წერითი გამოცდა მშობლიურ ენაში.

გ. აგლაძე,
საქართველოს ზოოტექნიკურ-ვეტერინარული სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის რექტორი

უმაღლესი სასწავლებლის სტაციონარზე ჩაირიცხება 250 კაცი: 150 — ვეტერინარიის ფაკულტეტზე და 100 — ზოოსაინჟინროზე. იანვარში მოეწყობა მიღება დაუსწრებელ განყოფილებაზე.

სიახლე: ვიწყებთ მხოლოდ ფართო პროფილის სპეციალისტთა მომზადებას.

ითვალისწინებენ რა ინსტიტუტის სპეციფიკას, კათედრებისა და განყოფილებების მუშაკები დიდ მუშაობას ეწევიან სოფლის ახალგაზრდობის პროფორიენტაციისათვის, განსაკუთრებით მთიან რაიონებში. ჩვენ ვთხოვეთ რაიონების ხელმძღვანელებს განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ახალგაზრდობის შერჩევას, რომლებიც სწავლის დროს სტიპენდიებს მიიღებენ მეურნეობებისაგან, უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ კი დუბრუნდებიან მათ სამუშაოდ. სხვათა შორის, სწორედ ასეთი კატეგორიის აბიტურიენტები სარგებლობენ უპირატესობით ჩვენს ინსტიტუტში შესვლის დროს. ორი წლის მუშაობის სტაჟის მქონე აბიტურიენტები, რომლებსაც სტიპენდიებს აძლევენ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, უმაღლეს სასწავლებელში ჩაირიცხებიან, უმაღლეს სასწავლებელში „თავისი" სტუდენტი, ათასობით აბიტურიენტში გამოარჩიოს ის, ვინც უმაღლეს სასწავლებელში მოვიდა მოწოდებით, შეგნებულად აირჩია მომავალი პროფესია. სწორედ ამას ისახავს მიზნად უმაღლეს სასწავლებლში მიღების ახალი წესები, რომლებიც არა მარტო ერომანეთს უხამებენ სახალხო მეურნეობის ინტერესებსა და პიროვნების ინტერესებს, არამედ აფართოებენ კიდეც უმაღლესი სასწავლებლების უფლებებს.

ეს განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებს რექტორატებს, მიმღები კომისიების წევრებს, უმაღლესი სასწავლებლების საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რათა ჯეროვან დონეზე მოეწყოს მისაღები გამოცდები, მაქსიმალური საჯაროობის, ობიექტურობის, კეთილმოსურნეობის ვითარებაში. თითოეულს მტკიცედ უნდა სწამდეს, რომ სტუდენტთა ახალი კონტინგენტის მიღების დროს მთავარი კრიტერიუმია ცოდნა.

საქინფორმის კორესპონდენტებმა გ. კენჭოშვილმა და ი. გოლდმანმა სთხოვეს საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების რექტორებს ეამბნათ მომავალ მისაღებ გამოცდებზე.

ა. ასათიანი,
თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის რექტორი

ტრადიციისამებრ ინსტიტუტმა მიღება გამოაცხადა ხუთ ფაკულტეტზე — სამკურნალო, პედიატრიის, სანიტარიისა და ჰიგიენის, სტომატოლოგიისა და ფარმაცევტიკის ფაკულტეტებზე. პირველ კურსზე ჩაირიცხება 850 კაცი. მაგრამ ფაქტობრივად კონკურსში მონაწილეობს თითქმის ორასით ნაკლები, რადგან 20 პროცენტზე მეტი გათვალისწინებულია ინათოვის, ვინც წარმატებით დაამთავრა სწავლა ჩვენი უმაღლესი სასწავლებლის მოსამზადებელ განყოფილებაზე.

ძალზე დიდი კონკურსია მოსალოდნელი. ველით აბიტურიენტთა დიდ ნაკადს, რომლებმაც ყოლა ოქროს ან ვერცხლის მედლით დამთავრეს. როგორც ცნობილია, პირველ გამოცდაზე თუ მათი ცოდნა „ხუთზე" შეფასდება, ისინი ჩაირიცხებიან უმაღლეს სასწავლებელში. როგორც გამოცდილება ცხადყოფს, წერითი გამოცდის შეფასებისას გადამწყვეტი როლი შეიძლება შეასრულოს ქულის მეასედმა ნაწილმაც კი. ამიტომ ძალზე მომზადებული ქალიშვილები და ჭაბუკებიც კი შეიძლება ვერ მოხვდნენ უმაღლეს სასწავლებელში. ამას იმიტომ ვამბობ, რომ სამედიცინო ინსტიტუტში შემსვლელებმა კიდევ და კიდევ მოიფიქრონ, რამდენად მტკიცეა მათი გადაწყვეტილება დაეუფლონ ექიმის პროფესიას. არავისაგან არ არის საიდუმლო, რომ ადამიანი, რომელიც პროფესიას მოწოდებით არ ირჩევს, იშვიათად ხდება თავისი საქმის ერთგული, კარგი სპეციალისტი. ეს რომ არ მოხდეს, უნდა სრულვყოთ ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაცია.

გამოცდების განრიგში სამი საგანია: ქიმია, ბიოლოგია, მშობლიური ენა. ინსტიტუტში მუშაობდა ხანმოკლე კურსები აბიტურიენტთათვის, ეწყობა კონსულტაციები ამ საგნებში.

რადგან ყველა გამოცდა წერითია და გამომცდელი არ ესაუბრება აბიტურიენტს, შევეცადეთ ისე შეგვედგინა ბილეთები, რომ თავიდან აგვეცილებინა დასწავლილი პასუხი, გააზრებული რომ არ არის და ვერ გვიჩვენებს აბიტურიენტის დამოუკიდებელ აზროვნებას. გარდა ამისა, ბილეთებში მოცემულია ფართო წრის საკითხები, რომლებიც გამოავლენს არა მარტო ცოდნის დონეს, არამედ რამდენადმე მომავალი ექიმების ცხოვრებისეულ პოზიციასაც.

ო. გოგიაშვილი,
საქართველოს ფიზიკულტურის ინსტიტუტის რექტორი

სპორტში არ არის წვრილმანები. ყველას ეკუთვნე, ვინც დაიწყებდა ჩვენს სასწავლებელში შემოსვლა, მუდამ ივარჯიშოს, სრულყოს სპორტული ოსტატობა. როგორც ცნობილია, ფიზკულტურის ინსტიტუტში შემსვლელთ უნდა ჰქონდეს მეორე სპორტული თანრიგი. თუმცა ეს კიდევ არ არის უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვის გარანტია. თანრიგოსანმა შეიძლება ვერ შეასრულოს ცალკეული ტექნიკური ელემენტები, ვერ უჩვენოს გამოცდების დროს საჭირო ნორმატივები. ამ შემთხვევაში, როგორც მიღებულია სპორტში, გაიმარჯვებს უძლიერესი...

ჩვენი უმაღლესი სასწავლებლის სპეციფიკა ბევრ რამეში ხელს უწყობს გამოცდებზე საჯაროობას. სპორტული დისციპლინების მიხედვით იგი მიმდინარეობს ღია შეჯიბრებების პირობებში. ყველა მსურველს შეუძლია დაიკავოს ადგილი მაყურებელთა შორის სტადიონის ტრიბუნებზე, კლუბში, სპორტულ მოედანზე. საჩვენებელ შედეგებს ყველა ხედავს. ასეთ ადგილებში ეზიარებიან ბალეტ-ფიგურალისტიკის, ტანმეცადინეობის, ფიგურული სრიალის, ფრენის, ტანმეცადინეობის, ფიგურული ფრენის, ფეხბურთის, ფარიკაობის, ტენისის, ფიზიკური ვარჯიშის, ტანმეცადინეობის, ფიზიკური ვარჯიშის, ტანმეცადინეობის, ფიზიკური ვარჯიშის, ტანმეცადინეობ

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲫᲕᲔᲚ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲗᲐᲜ...



ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ მოქმედების დამთავრების შემდეგ მაყურებელთა გულწრფელი ტაში უკრაინის სსრ სახალხო არტისტს სტეფანე ოლექსენკოსაც ეკუთვნოდა, რომელიც გუშინწინ საღამოს ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებდა კიევის ი. ფრანკოს სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის საგასტროლო სპექტაკლში „მოხუცი მანდილოსნის ვიზიტი“.

ᲕᲐᲖᲘ, ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ, ᲡᲘᲪᲮᲐᲠᲣᲚᲘ...

ᲒᲐᲮᲡᲜᲘᲚᲘ ᲪᲐ

ᲜᲐᲠᲙᲕᲔᲕᲘ

ᲞᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘ ᲐᲜᲢᲠᲐᲥᲢᲨᲘ

ს. ოლექსენკო კიევის კარპენკო-კარის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, 1964 წელს მისული ამ სახელგანთქმულ კოლექტივში.

— მაგრამ უკვე მქონდა ერთგვარი არტისტული გამოცდილება, — იგონებს ს. ოლექსენკო, — ოღონდ არა სცენაზე, არამედ კინოში. სქემე ის არის, რომ ჯერ კიდევ სტუდენტმა ლაერტის როლი შევასრულე გრიგოლ კოზინცევის ფილმში „ჰამლეტი“. იქნები, გახსოვთ კიდეც ეს სახე...

— ძალიან კარგად...

— სწორედ გრიგოლ კოზინცევმა — კინოში, შესანიშნავმა პედაგოგმა ლეონიდე ოლეინიკმა — ინსტიტუტში და შემდეგ უკვე ჩვენმა დაუვიწყარმა დიმიტრი ალექსიძემ — თეატრში, ჩამინერგეს ის აუცილებელი თვისებები, რომელთა გარეშე წარმოუდგენელია არტისტული ხელოვნება.

— კინოში ხშირად ხართ დაკავებული?

— ამ ბოლო დროს უბრალოდ ვეღარ ვახერხებ, რადგან ჩვენი თეატრის თითქმის ყველა სპექტაკლში ვმონაწილეობ, თანაც უდუბლიოროდ... ამას ემატება პარტიული ბიუროს მდივნობა... ისე დოვჟენკოს სახელობის სტუდიისა და „მოსფილმის“ ოცდაათამდე სურათში მაქვს შესრულებული სხვადასხვა ხასიათის როლები.

— და მაინც, რა ხასიათის როლები გირჩევნიათ?

— მსახიობს თუ უნარი შესწევს, მრავალფეროვნებას რა სჯობს... ძალიან მიყვარს ჩეხოვის გმირები.

— თბილისში პირველად ხომ არა ხართ?

— არა, მესამედ, და უკვე როგორც ძველ მეგობრებთან... პირველად მაშინ ვიყავი ფქვენს დედაქალაქში, დიმიტრი ალექსიძის მიერ დადგმული „ხსოვნა გულისა“ რომ ჩამოვიტანეთ, მერე ალექსიძის დაბადების 70-წლისთავზე გახლდით... ახლა ძალზე სახეშეცვლილი დამხვდა თბილისი, განსაკუთრებით მისი ძველი უბნები მომეწონა. დღეს ექსკურსია გვქონდა და, უნდა გითხრათ, პირდაპირ გულს უხარია, როცა ხედავ, როგორ უფრთხილდებიან აქ ტრადიციებს, ყოველივე ეროვნულს. ეს ქართულ ხელოვნებაშიც საგრძნობია, განსაკუთრებით კინოხელოვნებაში. მიყვარს თვითმყოფადი ქართული თეატრი. აღფრთოვანებული ვარ რუსთაველელთა ბოლოდროინდელი ცნობილი სპექტაკლებით, მარჯანიშვილის თეატრის ოტელოთი. შესანიშნავი იყო ოთარ მეღვინეთუხუცესი „ოტელოს“ როლში.

— საგასტროლო რეპერტუარში. ახლადდადგმული სპექტაკლები თუ გაქვთ?

— თითქმის ყველა ძველია. ამ სპექტაკლებით გაზაფხულზე საგასტროლოდ ვიყავით ბულგარეთში. 5 მაისს ჩამოვედით და, რა ამბავიც დაგეხვდა კიევში, მოგეხსენებათ... ჩერნობილის ტრაგედიამ კიდევ ერთხელ დაანახვა მთელ მსოფლიოს, თუ როგორი მეგობრობა-და შეკავშირება სცოდნიათ საბჭოთა ადამიანებს... ჩვენ ვიცით, რომ ახლა საქართველოშიც ბევრი ოჯახია, ბევრი ბავშვია ჩამოსული უკრაინიდან და, მადლობის მეტი რა გვეთქმის გულღია, ალალი მასპინძლობისათვის.

ესაუბრა

Ზ. ᲛᲐᲚᲚᲐᲙᲔᲚᲘᲫᲔ.

● ●

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗ: ᲡᲞᲔᲥᲢᲐᲙᲚ „მოხუცი მანდილოსნის ვიზიტის“ სცენა, იანის როლში უკრაინის სსრ სახალხო არტისტი ს. ოლექსენკო.

Ჯ. ᲚᲝᲛᲯᲐᲫᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ასეც იფიქროს კაცმა, ქართველები, ხშირი ხმარებით სიქას ვაცლით ღრმა აზრს და შინაარსს ვუცვლით — „ვაზო, შვილივით ნაზარდოო“. ამის მთქმელმა ვაზისა და შვილის სიყვარული კი არ შეადარა ერთმანეთს, თითქოს ვაზი შვილივით უყვარს და შვილი ვაზივით... არა!

ამით ჩვენმა კაცმა შრომის სიძნელეს უმღერა, რომ როგორც შვილის გაზრდაა ძნელი, ისეა ვაზის მოვლა-პატრონობაც.

ამ სიმღერით სული ჩაუდგა ქართველმა ვაზს, გააცოცხლა იგი, თითქმის გააადამიანა...

ვაზმა დაგვამკვიდრა ამ მიწაზე, ალბათ თოფ-იარაღიც ამიტომ ავისხით, საცხოვრებელს — მამულიც ამტომ ვუწოდეთ, არც არსად წავედით, არც ავიყარეთ და არც ადგილი მოვინაცვლეთ! იცოცხლე, სისხლიც ბევრი ვღვარეთ, ჩვენიცა და მტრისაც... ვერ მოგვერივნენ, რაც ჩვენია, ჩვენია, მართალი კაცი ქვაზე მაგრიაო.

ამიტომ ბორგავდა, ტიციან ტაბიძე:

ნეტა, სადა აქვს ამ ზვარებს ბოლო,
ვინ დარგო ერთად ამდენი ვაზი.
სჯობს ალარ გვქონდეს სულაც სამშობლო,
ანდა არ იყოს ასე ლამაზი!

ასე იყო და ასე იქნება, მარადიულია ჩვენი ყოფა ამ მიწაზე, როგორც მზე და როგორც სიყვარული!

ტყუილად ნუ შეეცდებით ომის დათვლას, რამდენჯერ მიდის დღეში მეზვრე ვაზთან. მცხეთის რაიონის სოფელ ძეგვში ცხოვრობდა გლეხი იაკობ როსტომაშვილი, რომელიც ვაზს ელაპარაკებოდა, ვენახში ისე არ ისადილებდა, ვაზის ძირისთვის ღვინო არ ეპკურებინა, მოდი ახლა და თქვი, რომ ამ კაცისათვის ან ამ ხალხისათვის ყურძენი სანოვაგეა და სხვა არაფერი... ამტომ არავის გაჰკვირვებია „ჯარისკაცის მამის“ მონოლოგი თუ დიალოგი, თორემ თუ ერთი სასხეპით გავკრეჭთ ყველაფერს, მაშინ სოიაც იგივეა, რაც ვენახი. ცერცვი და საზამთროც მშვენივრად ხარობს ამ მადლიან მიწაზე...

არცთუ დიდი ხნის დაწერილია უბადლო მოთხრობა „მამლუკი“, გლეხი ღმერთს ეხვეწება „ღმერთო იმას მომასწარი, ჩვენი კაცი ყანაში უთოფოდ მიდიოდესო“.

ახლა ჩვენში 1286 ათასი ჰექტარი ვენახია და იტალიასა და საფრანგეთის ზვრებს არ უდგებს ტოლს... რახან სიტყვამ მოიტანა, პირველად სწორედ იქ ვნახეთ სიტყვის საწინააღმდეგო ბადეებით გადახურული ზვრები...

კვეხნა რა საკადრისია და ევროპაში თუ სპეციალისტი არ არის, ოშვიათად ნახავთ მომხმარებლის ინტერესების მიღმა იყოს დაინტერესებული კაცი მეენახეობითა და მეღვინეობით. სხვისა რა მოგახსენოთ და, ჩვენში სიტყვასთან ბრძოლა ადამიანის ღმერთთან ჰიდილს ჰგავს.

ბოლოს მეცნიერება წამოეშველა მეენახეს, ახლა მთლად ხეცის შემყურე აღარ შეიძლება დარჩეს ადამიანი. ეს მამაგანათლებული მეცნიერები ზეცაში ჩიტის რძეს უზომავენ ცხიმიანობას და ეს სიტყვა რა გახდა, რით ვერ შეკრეს და შებორკეს ეს ზეცის ურჩხული, ასე რომ თავის პოხონდრიაზე წამოუშენს და სულ ერთთავად ამოდ აქცევს წლის სარჩო-სამადებელს..

ისე მოხდა, შარშანდლამდე მწიფე ჟინანი დაუსეტყვავი დიდი ხანი თვალით არ გვინახავს, ე. ი. მსხმოიარე ვენახში ვიყოთ და სიტყვა თქარა-თქურით დაგვდიოდეს თავს, არ გვინახავს, შარშან აგვისტოში იყო, პირველად ზვარში რომ დაგვატყდა ღვთის წყრომად...

ამ დროს საკუთარი თავის უმწეობა გაჩანაგებს კაცს, გასდის სიტყვას ტაკაცა-ტაკაცი; დგახარ უდონო, უმწეო, არაფერი შეგიძლია და.. გაცლის ხელიდან ამ ბუნების წყალობას ეს ვერანა, ესა!...

რაც ვენახი გაჩნდა ჩვენში, მას შემდეგ ასეა, მუდარით შეჰყურებს ზეცას ჩვენი გლეხი.

ამას როგორ უნდა შეეგუოს კოსმოსში მოსეირნე ადამიანი.

ამას წინათ ერთ ჰკვიანურ წიგნში ვნახე ილია ჭავჭავაძე დავით აღმაშენებელს იყო შედარებული. აფერუმ ამის მომფიქრებელს, თუმცა ნუ გვიწყენს ავტორი. ძალიან ჭირს თქმა, მაგრამ მაინც უნდა ითქვას გაუჭირდებოდა მეფე ბატონს ილიაობა.

ილია საქართველოს ყველა დროის — აწმყოს, წარსულისა და მომავლის აღმშენებელი იყო, არ არსებობს საქართველოს რიგი საჭიროროტო საკითხი, სათქმელი ან საფიქრალი, რომელზეც თავის ნათელი აზრი არ ჰქონოდა ამ ჩვენს უგვირგვინო მეფეს.

1886 წელს გაზეთი „ივერია“ წერდა:

„წელიწადი ისე არ გავა, რომ რომელიმე მხარე ჩვენი მხარისა არ დაისეტყვოს და ამით აუარებელი ზარალი არ მოგვაყენოს ხოლმე. ეს უბედურება ხშირად ისე ათახსირებს ხოლმე მთელ მხარეს საზოგადოდ, ცალკე მემამულეს საკუთრივ, რომ კარგა ხანს დასეტყვილი ადგილი და მისი მკვიდრნი წელში ვეღარ გასწორდებიან, ვეღარ გაიმართებიან ხოლმე. რა თქმა უნდა, ამ საერიდან მოვლენილს უბედურებას კაცი ვერ მოსპობს, ბუნებას სეტყვის სროლას ვერ მოაშლეინებს, თუმცა მეცნიერნი დიდი ხანია დიდს ცდაში არიან მოიგონონ იმისთანა რამ, რომ როცა სეტყვა მოდის, მემამულის მეცადინეობით და წინასწარ მომზადებით მისი უბედურება, როგორმე თვითეულ მემამულეს ცალკე ასცდეს.

ჩვენმა სასწაულმოქმედმა საუკუნემ ბევრი მაგალითი გვიჩვენა ადამიანის ჭკუის ძლიერებისა და ძალისა-მოსილებისა. იმედი არ უნდა დავკარგოთ, რომ ოდესმე ის მოხერხდება, რაც დღეს მოუხერხებელი გვგონია“.

მართლაც, დროა ამ მუდმივ სატკივარს მოუაროს ადამიანმა. სიტყვარს ახლა შაშით შევეცქეროდეთ ზეცას. შარშან ივლისში ოთხჯერ მოვიდა სეტყვა, არც აგვისტომ დაგვინდო, 20 აგვისტოს ისეთ დღეში ჩაგვყარა, მტერი შეგვიბრალებდა. გიო პაპა თვალს გვარიდებდა და „დამარცხებული ჯარის სარდალივით მაღლა თავის აწევას ერიდებოდა“. წელს თელავისა და ახმეტის ზვრებს კვლავ ჩამოვუარეთ და ჩვენი შარშანდელი ნაცნობი ვნახეთ. დავწერეთ კიდეც:

გიო კვიტაშვილი 80 წლისაა, ომის ვეტერანიც არის და შრომისაც.

— 12 ძირ ვაზზე ტონა-ნახევარი, ორი ტონა ყურძენი მომდის, ჯობს ცოტა იყოს ვენახი და კარგად მოვლილი, თან ვისეტყვებოდით ყოველ წელს... — ამბობს იგი.

— ვენახის ბადით გადახურვა?

— კარგია, მა... ერთი გაიფიდებოდეს, ჩვენს საკარმიდამოსაც გადახურავთ... გაამართლა, გაამართლა...

შარშან ამ დროს ქისტაურის გზაზე წყაროსთან ვნახეთ მიხეილ მოსაშვილი, ჭარმაგი, გამრჯე და მხნე გლეხი, წელს ვენახში ვეწვიეთ, დაგვინახა თუ არა, მაშინვე გვიცნო, გაიღიმა:

— თქვენ მას შემდეგ ერთად დადიხართ?..

მოვიკითხეთ მასპინძელი. მადლობა გვითხრა და საქმეზე თვითონ გადავიდა. რაც ვთქვი, იმას ვიტყვი, 800 ჰექტარი ვენახი გვაქვს, ამის ნახევარი რომ ბადით დაგვახურინა, იმდენ ყურძენს მოვიწევთ, რამდენსაც ახლა მთლიანად ვიწევთ... ბადის ქვეშ ვეგეტაციაც გაცილებით სწრაფად ხდება, ზოგი ამბობს, არაო, მაგრამ... მოგვცა თორემა... ჩვენი საქმისა, ჩვენ ვიცით... იმატა დახურულმა ვენახებმა, მაგრამ ძალიან ნელა მიდის წინ ეს საქმე.

ბოლოს ცოლს მიუბრუნდა და ერთი სიტყვა უთხრა, კითხვის ნიშნით.

— დედაკაცო?!.. ვინც იცის შეხმატკბილებული ცოლ-ქმრის ენა, იმან იცის რას ნიშნავს ეს „დედაკაცო“.

— მეურნეობის კანტორაში გველოდებიან, — მოვიბოდიშეთ და ავჩქარდით.

— შემოდგომაზე ძია გიოს დათქვენ ერთად გესტუმრებით, — ვუთხარით და დავიძარით...

ეძიებდე და ჰპოვებდეო. გზად სწორედ აბო ორჯონიკიძე შეგვხვდა, „საქვენახდაცვის“ სამინტაჟოს მმართველი. ეს სამმართველო საბჭოთა კავშირში ერთადერთია. ბევრი სამეცნიერო ცენტრისა და დაწესებულების მეცადინეობით შეიქმნა, 10 წელია იღვწის. მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ სეტყვის „არტილერია“ სასარგებლო და დიდი საქმეა, მაგრამ ერთადერთი მეთოდი არ უნდა იყოს, ვენახების ბადით გადახურვის ინიციატორებმა დიდი ბრძოლა ხელოვნური ჭაქსოვეს ამ საქმეს, დღეისათვის „ექსპერიმენტიდან“ გამოვიდა ეს ფამოწყება და გადახურულმა ფართობებმა უკვე 300 ჰექტარს მიაღწია.

— დღეისათვის საიმედო და დამაჯერებელია, რომ კახეთის ზვრების გადახურვით მიკროკლიმატი უმჯობესდება, საშუალოდ 20 პროცენტით იზრდება ყურძნის მოსავლიანობა, 1-1,5 პროცენტით მატულობს შაქრიანობა.

1985-86 წლებში ფიქსირებულია 11 შემთხვევა, როცა სეტყვამ 70-90 პროცენტით დაანიავა ვენახები, გადახურულ ფართობზე კი ზარალი 5-7 პროცენტს არ ასცილება.

14-15 ათასიდან 11 ათასამდე ჩამოვიდა ერთი ჰექტარის გადახურვის ღირებულება, რაც, რა თქმა უნდა, მაინც ძალზე ძვირია. დამუშავდა და ახლა უკვე გამოიყენება ბადე, რომელიც 5-6 წელს გაძლებს. გადახურვის ხარჯები მთლიანად ანაზღაურდება 3,5 წლის განმავლობაში იმ ყურძნის საფასურით, რომელიც სეტყვით უნდა განადგურებულიყო.

ვენახის გადახურვის საქმე სულ სხვა ტემპს მოითხოვს. ბადეებს დღემდე მხოლოდ საგარეჯოს ადგილმრეწვის კომბინატი ამზადებს, წელიწადში 100-120 ტონას. აბა, რას „გასწვდება“ ეს ბადე... განა ეს ის „ფრთაა“, რომელიც ჩვენს ზვრებს შეიფარებს...

ორჯონიკიძეც წუხს:

— ეს ღონისძიება, ბადეებით ვენახების გადახურვა, საერთოდ არ არის ჩართული კაპლაბანდების სახელმწიფო გეგმაში, ამიტომ „საქვენახდაცვას“ არა აქვს დაფინანსების სტაბილური წყარო და სათანადო მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა. ჯერჯერობით, როგორც ექსპერიმენტს (რომდემდე?!), მას საქართველოს სსრ სახდაზღვევის მთავარი სამმართველო აფინანსებს... მთავარი მიზეზი ის არის, რომ არა ვართ საქსახგარმრეწვის დაქვემდებარებაში...

რომ ჩაუკვირდეს კაცი, რა გამოვა? მეცნიერებმა, პრაქტიკოსებმა და ენთუზიასტებმა საქმე იქამდე მიიყვანეს, რომ შეიქმნა ახალი დარგი და მრქმედი საიმედო მოდელი, მაგრამ ეს მოდელი თუ მოდელად დარჩა და ამ ტემპით წავიდა წინ საქმე, „მოყვარულთა“ სფეროს ვერ გასცდება, ნახევრად ენთუზიაზმის დონეზე ვერ დამკვიდრდება!

— სხვა მეთოდებიც გამოჩნდა, — გვეუბნება ორჯონიკიძე — „საქვენახდაცვამ“ ოქიოს საბჭოთა მეურნეობაში სცადა არსებული „სამპალეიერო სისტემის“ შეცვლა. 21 მაისს მოვიდა ძლიერი სეტყვა, გადახურული ვენახის გარეთ ზარალი 90 პროცენტი იყო, ხოლო გადახურულ ზვრებს საერთოდ ვერაფერი დაეკლო!

ეს დიდი საქმე ახალ მიჯნაზეა და ბევრი სასიკეთო ძვრის მიუხედავად სხვა გასაქანს მოელის, საბანადო ტემპიც იქნება, ამ საქმეს მზრუნველი არ აკლია, რედაქციაში მოდის წერილები, მოდიან ამ საქმის ენთუზიასტები, და კითილისმსურველნი, „ფანტაზიორებიც“ კი, რომლებიც ოცნებობენ ალაზნის ველი დაკიდებულ დირიჟაბლებს შორის გაჭიმული ბადით გადახურონ და სხვ.

ამ საკითხის ოპტიმალური ვარიანტი იქნება ჯერ კიდევ ვინმე მეოცნების თავშია და „გამომზეურებას“ ელის. ერთი კი ცხადია, რომ მთელი საქართველო ებრძვის სეტყვას, ან რა გასაკვირია...

როგორ წერილს, განცხადებას, წინადადებას ან სურვილს არ შეხვდებით ჩვენს ფოსტაში.

„აპარატისა და ბადით გადახურვის ხარჯები ერთჯერადი უნდა იყოს — პირველ წელს, ხოლო შემდგომ წლებში კი იგი უძრავად იყოს, ისე რომ მის ქვეშ შესაძლებელი იყოს ყველანაირი საკულტივაციო სამუშაოების ჩატარება. ხოლო ბადე იყოს არა სეტყვის გაფშტარი, არამედ გამტარი, დაახლოებით თხილისოდენა უჯრედებით, გაივლის რა ასეთ ბადეს, ძალადაკარგული სეტყვა, არასწორხაზოვანი მოძრაობის გამო, ვერაფრით ზიანს ვერ ვეღარ მიაყენებს და პირიქით, შესაძლოა მასზე სასიკეთო გავლენაც მოახდინოს.

გვწერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი **ტ. ᲚᲐᲠᲗᲐᲜᲘᲐ.**

ამ რამოდენიმე დღის წინ რედაქციის კარი შემოაღო და ჩვენ სამუშაო მაგიდაზე ქაღალდების ნახაზების დასტა და რაღაც მუყაოს კოლოფი დაიწყო, ერთი შეხედვით სამოც წელს გადაბიჯებულმა ინტელიგენტმა კაცმა, გაგვეცნო.

— მაჩაიძე, გერონტი ივანეს ძე — სკამზე დაეშვა და პირდაპირ საქმეზე გადავიდა:

— ვიცი, ეს თემა გაინტერესებთ!.. აი, ბატონო, ნახაზები, აი ჩვენი და... აი, იტალიელებისა და სხვათა გადახურვის სისტემები...

ეს კი მაკეტი გახლავთ, ვენახის გადახურვის მაკეტი, უფრო რთული და, რა თქმა უნდა, უფრო ძვირიც, მაგრამ ჩვენი აზრით (ავტორები არიან ინჟინერ-მექანიკოსი გ. მაჩაიძე და მისი შვილი, გეოფიზიკოსი გია მაჩაიძე), უფრო სარგებლიანი და სასარგებლოა. რა თქმა უნდა, ბატონებო, მე ამის თქმა როდი მინდა, თითქოს დღემდე ჩვენში გამოყენებული საშუალებები ნაკლებ მნიშვნელოვანი იყოს. არა, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ მოდელის ექსპერიმენტის გამოცდაც კი სიახლე და სარგებლიანი იქნება.

ჩვენი გადახურვა, სრულიად ინარჩუნებს ნიადაგისა და გარემოს პირვანდელ „ხელშეუხებლობას“, აქ ვენტილაცია არ არის საჭირო, რადგან თავისთავად ვენტილაცია ხელოვნური პირობების შექმნაა! — თქვა მან და მაკეტის ბერკეტი გადასწია, — ბადის საფარველი აიკეცა, მერე ისევ გადმოსწია, ბადემ კვლავ „გადახურა“ საჭირო სივრცე...

ჩვენს მაკეტს ჯერჯერობით მხოლოდ სიტყვიერი აღიარება ხვდა წილად!.. იქნებ ღირდეს ამით სერიოზულად დაინტერესდეს ვინმე. იქნებ ეს მაკეტი ამ საქმის ხვალინდელი დღე იყოს ან ზეგინდელი?

რედაქციაში, და არა მარტო რედაქციაში, სხვადასხვა ზეგდგომ და სამეცნიერო დაწესებულებებში ხშირად ნახავთ ერთ მოკრძალებულ ახალგაზრდა კაცს — გამომგონებელ თამაზ ქვლეივიძეს (ყურძნის საკრეფი მანქანის ავტორია), რომელმაც 1984 წელს გაკეთა განაცხადი ვაზის აბვევის მარტივ და იაფიან დამჭერებზე. ეს დიდ ეკონომიას ჰპირდება მევენახეებს, ქვეყნის სატუთები, რეკომენდაციები და „სახლტბო“ წერილები აქვს ხელთ, ავტორიტეტული და მცოდნე ხალხის ხელმოწერილი, მაგრამ... უჭირს ახალგაზრდა გამომგონებელს, „ავი“ ენები ამბობენ, ცოუ თანავტორებიც გამოუჩნდნენ (ახლა სხვა საქმეშიც არიან ვითომ ავტორები) და ამ ახალგაზრდა გამომგონებელს მიტმასნება მოიწადინეს, მაგრამ ჯერ ნუ იჩქარებთ, თუ ეს მართლა სხვისი ტვინის „ექსპლოატატორები“ ვამბლეთ, უხაროდეთ ფელეტონისტებს საკბილო!

ასე გაუთავებლად შეიძლება ვაზის ქომაგთა ჩამოთვლა. ისეთებიც აღმოჩნდნენ, სულაც არ უცხოვრიათ სოფლად, მაგრამ სწორედ ეგ არის საქმე: ჩვენ კაცს ვაზთან სულ სხვა ურთიერთობა აქვს, მის სულიერ სამყაროში შეუძლებელია ვაზსა და კენკროვან ტოლფასი ადგილი ჰქონდეს!..

...ჩვენი „კოლხზნიკი“ უკლის კახეთის ზვრებს, ძველი ნაცნობმეგობრები, ჯირიდან მოსული ბიჭები, ახალი პატარძლები, მთელი საქართველო ახლა ზვრებს არის შეფენილი. უხსოვარ დროიდან იყო ასე, რაც „კახთ ბატონმა“ ერეკლემ ეს გზა აგვირჩია, და რახან დიდმა ილიამაც ამ გზაზე დაგვმოძღვრა, ჩვენ, ქართველებს, ამ გზისთვის არ გვიღალატია, ეს არის ჩვენი ხსნის გზა.

ვენახის მოვლა-პატრონობაში, არის ერთი „პროცედურა“ — ნაყვავილები ვენახი ისე უნდა გადაიჭრას, რომ მტევანმა მზე დაინახოს (თუ — მზემ მტევანი დაინახოს!) და ამ ცერემონიას ცის გახსნა ჰქვია.

არის ამაში რაღაც სიმბოლური და რაღაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი.

ახლა საქართველოს ვაზს გახსნილი ზეცა დაჰყურებს. ვაზი მოვლილია და პატრონიანი. მეზვრეს გული საგულეს აქვს, მოსავალ ელის...

ქართველი გლეხის გაუტეხელი სული დიონისოს ზეიმისთვის იწყებს სამზადისს.

„მარნის კარი აჭრიალდება“ და... რომელ ერთ მასპინძელთან გინდა მოასწრო სტუმრობა, კონდოელ მიხო ტატიაშვილთან ვართ შემოდგომაზე ოქროს ქორწილზე მაყრად მიწვეული, სიმეძ, ავმხედრდეთო, ამა „ვოლგების“ პიპინ-პიპინი ვით ეკადრება ტატიაშვილს!.. ომგადახდილ, გამრჯე ვაჟკაცს, პოეტური სულის კაცს, ერთხელ მერცხლების შემორიგების (ქმიჟატების მოწამლული ყურძენი რომ გაუსინჯავს მერცხალს, გაჯავრებული, შემოგვწყრომია და გაფრენილა) სადღეგრძელო რომ დალია!

— ძია მიხო, მერცხლის ენაც იცი?

— ვინც ვაზის ენა იცის, იმან ყველა სულიერისა და უსულოს ენაც იცის, შვილოსა... — ამბობს ძია მიხო, და 80 წელს გადაბიჯებული სიიბატონი პატარძლიანთ გვეპატიჟება მაყრებს!..

Დ. ᲒᲔᲠᲒᲘᲨᲕᲘᲚᲘ.
Რ. ᲓᲕᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲘᲕᲚᲘᲡᲘ. ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲘ — ᲗᲘᲚᲐᲕᲘ — ᲐᲮᲛᲔᲢᲐ.

ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲝᲑᲐᲜᲘ „ᲔᲙᲕᲐᲢᲝᲠᲡ“ ᲛᲘᲣᲐᲮᲚᲝᲕᲓᲐ

ᲛᲝᲒᲘᲗᲮᲠᲝᲒᲝᲗ კიდევ ერთ პრესკონფერენციაზე, რომელიც მართლა უჩვეულო ადგილას გაიმართა. ამჯერად სპორტული ჟურნალისტები თბომავალ „სტეფანე რაზინზე“ მიიწვია ამერიკის სი-ბი-ესის ტელეკომპანიის პრეზიდენტმა ტედ ტერნერმა. ჟურნალისტებთან სჯა-ბაასში მონაწილეობა მიიღო სსრ კავშირის სპორტსახკომის თავმჯდომარემ მარატ გრიმოვმა. ერთი სიტყვით, ეს იყო მდინარე მოსკოვზე გასეირნებაც, და რაც მთავარია, იყო საუბარი სპორტზე, მშვიდობაზე და მეგობრულ თანამშრომლობაზე. ტედ ტერნერმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ მეორე კეთილი ნების ასპარეზობაზე, რომელიც აშშ-ს ქალაქ სიეტლში 1990 წელს გაიმართება, მსოფლიოს 100 ქვეყნის 5000 სპორტსმენს მიიწვევენ. თავის მხრივ, მარატ გრიმოვმა აღნიშნა, რომ მოსკოვის პირველმა ასპარეზობებმა ცხოველი ინტერესი გამოიწვია და უმრავლეს სპორტულ ბაზებში დიდძალი მაყურებელი ესწრება. ტედ ტერნერმა განსაკუთრებით გამოყო სერგი ბუბკას ახალი მსოფლიო რეკორდი, მოკურავეთა შეჯიბრება, მძლეოსნური ესტაფეტები, სსრ კავშირისა და აშშ-ს კალათბურთელ ქალთა გუნდების ფინალური მატჩი. მან აღნიშნა ისიც, რომ იგი პირველად დაესწრო მხატვრულ ტანვარჯიშში ასპარეზობას და აღფრთოვანებული დარჩა გრაციების ნატიფი გამოსვლით.

საუბარი კარგა ხანს გაგრძელდა, ამასობაში ბიმკის ნავსადგურიც გამოჩნდა და ჟურნალისტებმა მოსკოვის სპორტულ ბაზებს მიაშურეს, სადაც იმ დღეს ექვს სპორობაში მიმდინარეობდა შეჯიბრებები.

ᲤᲣᲚᲑᲐᲠᲗᲝᲚᲔᲚᲔᲑᲛᲐ მესამე ტურის მატჩები ასეთი შედეგებით დაამთავრეს: საბერძნეთი-გფრ — 9:11, უნგრეთი-აშშ — 8:8, სსრ კავშირი-ჰოლანდია — 15:8. სამი ტურის შემდეგ გუნდების სატურნირო მდგომარეობა ასეთია: სსრ კავშირი — 6 ქულა, აშშ — 5, უნგრეთი — 4, გფრ — 3, ჰოლანდია — 0, საბერძნეთი — 0. მართალია, სსრ კავშირის ნაკრები ერთპირიანოვნული ლიდერია, მაგრამ მას ახლა ჯერ უნგრეთის და შემდეგ აშშ-ს წყალბურთელთა სახით საკმაოდ ძლიერ მეტოქეებთან ექნება საქმე. ჩვენს სპორტსმენებს სწორედ ამ კოლექტივებთან მართებთ განსაკუთრებული სიფხიზლეც, ოსტატობაც და შემართებაც. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს უნგრეთისა და აშშ-ს ნაკრები გუნდების შეხვედრის მიმდინარეობა. უნგრელებიცა და ამერიკელებიც ამ მატჩში თავგამოდებით და ოსტატურად იბრძოდნენ. მეოთხე პერიოდის საწყის ეტაპზე უნგრელები დაწინაურდნენ კიდეც (6:4), მაგრამ საკმარისი იყო მათს მეკარეს ყურადღება ოდნავ მოედუნებინა, რომ ამერიკელებმა სწრაფად გაათანაბრეს ანგარიში. ამის შემდეგ უნგრელები კიდევ ორჯერ დაწინაურდნენ (7:6 და 8:7), მაგრამ ამერიკელებმა ორჯერვე შეძლეს მდგომარეობის გაწონასწორება. აღსანიშნავია, რომ რიცა მატჩის დამთავრებას 21 წამი აკლდა, უნგრელებმა მაშინ გაიტანეს მერვე ბურთი, ამერიკელებმა კი ანგარიში გაათანაბრეს შეხვედრის დასრულებამდე 7 წამით ადრე.

ᲤᲠᲐᲜᲒᲣᲠᲗᲔᲚ ᲥᲐᲚᲗᲐ ტურნირის იმ ოთხეულში, რომელშიც პირველი და მეოთხე ადგილები უნდა გათამაშდეს, გაიმართა ნახევარფინალური მატჩები: პერუელებმა დაამარცხეს იაპონელები (3:2), საბჭოთა ფრენბურთელებმა — აშშ-ს ნაკრები (3:1). ამრიგად, ფინალში პირველი ადგილისათვის შეხვდებიან სსრ კავშირისა და პერუს გუნდები, მესამისათვის — იაპონიისა და აშშ-ს კოლექტივები. მეხუთე-მეჩვიდე ადგილების მებრძოლთა ჯგუფში ჩეხოსლოვაკიელებმა დაამარცხეს გფრ-ს ფრენბურთელები (3:0), ხოლო კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლებმა. — გდრ-ს ნაკრები (3:0).

ᲤᲘᲜᲐᲚᲘᲡᲢᲗᲐ მედლების კიდევ ერთი კომპლექტი გათამაშდა — ამჯერად ტრამპლინიდან ხტომაში ვაჟებმა იასპარეზეს. აქ ყველაზე მოზდენილი და ოსტატური ნახტომი შეასრულა, ნიკოლოს დროჟინმა (სსრ კავშირი) და ოქროს მედალს დაეუფლა. მეორე ადგილზე გამოვიდა კენტ ფერგიუსონი (აშშ), მესამეზე — ლი დელიანი (ჩინეთი).

ასპარეზობაში ჩაებნენ **თავისუფალი სტილის მოჭიდაველები** (გუნდური შეჯიბრება). „ა“ **ჯგუფი.** აშშ-სა და ბულგარეთის ნაკრები გუნდების შეხვედრა დამთავრდა ფრედ 5:5. „ბ“ **ჯგუფი.** სსრ კავშირის გუნდის მეტოქე იყო მონღოლეთის ნაკრები. საბჭოთა სპორტსმენებმა ითივე ორთაბრძოლა მოგებულ-ად ჩააბარეს ანგარიშიანი ფურცელი ოსტატ-ანგარიშით. ... ...